თამბაქოს ინდუსტრია მაქსიმალურად იყენებს COVID-19-ის გამო შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას, რომ გაზარდოს საკუთარი ბრენდების წარმატება

კორონავირუსის სამიზნე ფილტვებია და ნებისმიერი ქცევა რომელიც ასუსტებს ფილტვებს დიდი რისკის ქვეშ აყენებს ადამიანს. თამბაქოს მოხმარების უარყოფითი გავლენა ფილტვებზე კი მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია. ასევე უკვე არსებობს ბევრი მტკიცებულება, რომ ელექტრონული სიგარეტების მოხმარებაც აზიანებს ფილტვებს. შესაბამისად არსებობს მზარდი შიში, რომ მწეველები კორონავირუსული ინფექციის მწვავე სიმპტომების განვითარების რისკის ქვეშ არიან. ამასთან, თებერვალში New England Journal of Medicine-ში გამოქვეყნდა კვლევა, სადაც შესწავლილ იქნა COVID-19-ით ინფიცირებული 1099 პაციენტი. პაციენტების 16.9%, რომლებსაც COVID-19 ინფექციის მწვავე სიმპტომები აღენიშნებოდათ, ამჟამინდელი მწეველები იყვნენ, ხოლო 5.2% - ყოფილი მწეველები. პაციენტების 25%, რომლებსაც დასჭირდათ მექანიკური ვენტილაცია, ინტენსიურ განყოფილებაში განთავსება ან გარდაიცვალნენ, სწორედ მწეველები იყვნენ.

ამ შედეგების მიუხედავად, მსოფლიო მასშტაბით თამბაქოს და ელექტრონული სიგარეტის ბრენდები აქტიურად მუშაობენ თავიანთი პროდუქტების პოპულარიზაციაზე:

1. *მარკეტინგი* - ბევრ ქვეყანაში დაფიქსირდა შემთხვევები სადაც თამბაქოს ინდუსტრია პროდუქტის რეკლამისთვის იყენებს ტერმინებს “COVID-19”, “კარანტინი”, “დარჩი სახლში”(ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა ჩეხეთში). ასევე სთავაზობს უფასო მიტანის სერვისს და აწესებს პრიზებს მათი კამპანიის პოსტების გაზიარების შემთხვევაში და ავრცელებს სარეკლამო ტექსტურ შეტყობინებებს (ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა ლიბანში).
2. *ლობირება* - თამბაქოს კომპანიები აიძულებენ მთავრობებს თამბაქოს წარმოება, მაღაზიები და სხვა თამაბქოს პროდუქტები შეიყვანონ “აუცილებელი” საჭიროების სიაში, რომ არ შეფერხდეს მათი ოპერირება (ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა რუსეთში).
3. *დეზინფორმაცია* - ბევრ ქვეყანაში გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ თამბაქოს მოხმარება იცავს COVID-19-ით იფიცირებისგან.
4. *“ფილანტროფია”* - ათწლეულების განმავლობაში თამბაქოს ინდუსტრია იყენებდა ბუნებრივი კატასტროფების და გადაუებელი მდგომარეობების შემთხვევებს, რომ მოეპოვებინა პოლიტიკის შემქმნელების და საზოგადოების კეთილგანწყობა სხვადასხვა აქტივობების დაფინანსებით და ხელშეწყობით.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, ახლა როგორც არასდროს უაღრესად მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელების ჩართულობა და თამბაქოს კონრტოლის ზომების გამკაცრება. განსაკუთრებით კი, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში სადაც კონცენტრირებულია მწეველების 80%.

წყარო: “The Tobacco Industry Is Exploiting the COVID-19 Crisis.” TakeAPart. Accessed April 27, 2020. https://www.takeapart.org/campaigns/covid-19-activities/
Guan WJ, Ni ZY, Hu Y, et al. Clinical characteristics of coronavirus disease 2019 in China. N Engl J Med. 2020 doi: 10.1056/NEJMoa2002032